საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 3330/01
05/04/2022

3330-01-2-202204050940

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიას

გაცნობებთ, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში სს „ბუქსი ჰესის“ მიერ წარმოდგენილია ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, სოფ. ბუქსიეთში მდ. გუბაზეულზე 10 000 m^3-ზე მეტი მოცულობის კაშხლის და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადება.

სკრინინგის განცხადების შესახებ ინფორმაცია, თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად განთავსებულია სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე (იხ. ბმული - https://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/33914). გთხოვთ, დოკუმენტაციასთან დაკავშირებული შენიშვნებისა და მოსაზრებების წარმოდგენა უზრუნველყოთ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში **2022 წლის 13 აპრილი ჩათვლით,** მისამართზე: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N6, ან ელ. ფოსტის მისამართზე: eia@mepa.gov.ge.

გიგზავნით აღნიშნული პროექტის შესახებ ინფორმაციას თანდართული დოკუმენტაციის სახით. გთხოვთ, უზრუნველყოთ ზემოაღნიშნული განცხადების განთავსება თქვენი აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე ან/და ოფიციალურ ვებგვერდზე და წარმოგვიდგინოთ აღნიშნულის დამადასტურებელი ფოტომასალა.

დანართი: ტექსტის თანახმად.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე